დანართი N12

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები მედია-ორგანიზაციებისა და ჟურნალისტებისათვის

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული მიმდინარე მოვლენების და/ან შესაძლო დაინფიცირებული შემთხვევის გაშუქების დროს ჟურნალისტებმა/მედიის წარმომადგენლებმა უნდა გაითვალისწინონ და დაიცვან მარტივი რეკომენდაციები:

ა) შესაძლო ინფიცირებულ ადამიანთან ახლო კონტაქტისგან თავის არიდება **სამედიცინო ნიღბის გამოყენების გარეშე;**

ბ) შესაძლო დაინფიცირებული შემთხვევის გაშუქებისას **ინტერვიუს წარმოება მიკროფონის დამჭერი გრძელი ჯოხით;**

გ) ინტერვიუს დროს მიკროფონის გამოყენება ღრუბლის გარეშე. **დასრულებისთანავე მიკროფონის მთლიან კორპუსს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია;**

დ) **უსაფრთხო დისტანციის შენარჩუნება** - არანაკლებ 1-1.5 მეტრი მანძილი ჟურნალისტსა და რესპონდენტებს შორის, განსაკუთრებით იმ პირებთან, რომლებიც ახველებენ, აცემინებენ ან/და მაღალი სიცხე აქვთ. რესპირაციული ინფექციით ინფიცირებული ადამიანი, მათ შორის ახალი COVID-19 ინფექციით, ხველისა და ცემინების დროს ავრცელებს ვირუსის შემცველ წვეთებს, ახლო მანძილზე, შესაძლებელია მოხდეს ვირუსის ჩასუნთქვა;

ე) სამუშაო პროცისის დასრულებისთანავე **რეკომენდებულია ნიღაბის მოხსნა, წინა ზედაპირის შეხების გარეშე და გადაგდება სანაგვე ყუთში;**

ვ) **სველი წესით გაწმენდა და დეზინფექციის ჩატარება იმ ნივთებისთვის, რომელთაც მუშაობის პროცესში ხშირად ეხებიან;**

ზ) ახალი კორონავირუსისგან თავის დასაცავად საჭიროა დაცული იყოს გრიპისა და სხვა **რესპირაციული დაავადებების პრევენციის ზოგადი რეკომენდაციები:**

- **ხელის ხშირი დაბანა,** არანაკლებ 20 წამის განმავლობაში საპნითა და წყლით, ან ხელის დამუშავება სპირტის შემცველი ხსნარით.
- **დაუშვებელია თვალების, ცხვირსა და პირის ღრუს დაუბანელი ხელით შეხება.**

დამატებითი ინფორმაცია

www.moh.gov.ge
ცხელი ხაზი: 1505, 1522, 144

www.ncdc.ge
ცხელი ხაზი: 116001

StopCoV.ge